

### **კოლეჯის მისია**

საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის, როგორც მრავალპროფილიანი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას წარმოადგენს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობის პრინციპზე დაყრდნობით, ისეთი სახის პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე არსებულ სტანდარტებზე მორგებულ შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი პროფესიონალების - ადამიანური რესურსის შექმნა/მომზადებას.

### **ხედვა**

საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ხედვას წარმოადგენს უახლოესი 10 (ათი) წლის განმავლობაში, გახდეს ლიდერი კონკურენტ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმხორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის - ევროპული ხარისხის, თანამედროვე გამოწვევების შესატყვისი ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსის მომზადების და დასაქმების გზით, რომელიც მზად იქნება უპასუხოს თანამედროვე და საერთაშორისო ეკონომიკურ და სოციალურ გამოწვევებს.

### **საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ღირებულებებია:**

- ა) ურთიერთპატივისცემა და ეთიკურობა;
- ბ) პროფესიონალიზმი;
- გ) ევროპული ხარისხი;
- დ) შემოქმედებითობა;
- ე) სამართლიანობა;
- ვ) ემპათია.